დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს სკოლა ეტალონი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: რაინდი როდონაია**წევრები:**

ცისანა კობახიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ჟანა ბელქანია -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ანესაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო თედორაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ინგა გოგალაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან პარუნაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თამარი მურუსიძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბურჯალიანი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე მაკარიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა ეტალონი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	440391933

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღი
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქ. წნორი, ერეკლე II-ს ქ. N 24
საფოსტო ინდექსი	4976
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolaetaloni.online
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaetaloni@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების	599 22 29 90

ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N292093, 10/03/2026 წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23 და 24 აპრილი 2026 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური	დაწყებითი	ქართული ენა	სიღნაღი, ქ. წნორი, ერეკლე II-ს ქ., N 24; შენობა N1

2	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საბაზო საფეხური	საბაზო	ქართული ენა	სიღნაღი, ქ. წნორი, ერეკლე II-ს ქ., N 24; შენობა N1
3	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საშუალო საფეხური	საშუალო	ქართული ენა	სიღნაღი, ქ. წნორი, ერეკლე II-ს ქ., N 24; შენობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 23 და 24 აპრილს შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სკოლა ეტალონში. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას და გამოითხოვეს დამატებითი მასალები. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები რაინდი როდონაია და ცისანა კობახიძე. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტები შეხვდნენ სკოლის წარმომადგენელებს და დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის ბოლოს გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
200	148	*200*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა	აღწერა

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ჯგუფი ეთანხმება ☒	*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის	სასურველია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში კონკრეტულად აღწეროს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და

	საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	დამხმარე პროცესები.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლამ გაითვალისწინოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში აღნიშნული ფაქტები და დროულად უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება (იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.3	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	სასურველია მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული იყოს საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შედეგები

ინდიკატორი N4.2.4.1	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ/გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი და უფასო წრეების სახით, ვინაიდან სკოლა არ ახორციელებს აღნიშნულ მომსახურებას, სასურველია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნეს ეს ჩანაწერი.
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია სკოლამ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩაატაროს კვლევა, რა ტიპის დაწესებულებებში ჩაირიცხნენ მისი კურსდამთავრებულები, დასაქმდნენ თუ არა შესწავლილი პროფესიის მიხედვით და ა.შ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს, მის მიერ განხორციელებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა იყო თუ არა შედეგიანი და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში გააუმჯობესოს იგი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
	შემუშავებული კურიკულუმი	***სახელმწიფო ენა*** სასურველია, გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რჩევები:

ინდიკატორი *N2.1.2.1.*	**წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	ქართულის კურიკულუმში სიტყვა კლასტერი არსად არ დაიწეროს. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და შეიმუშაონ ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდება, თითოეული დანაყოფის ფუნქცია. აუცილებელია, ჩარჩოში იყოს შემდეგი გრაფები: თემა, ცნებები, ტექსტები/კონტექსტმაგალითები, დავალების იდეა/პირობა და რესურსები. სასურველია, მკაფიოდ გაიმიჯნოს თითოეული გრაფის შიგთავსი: თემაში-ზოგადი დასახელება თემატიკისა, რომელიც კონკრეტულ თავში მუშავდება, საკითხში დაიწეროს დავალების დასახელება სახელდებითი წინადადებით (მაგ. პერსონაჟის ხედვის კუთხის შეცვლა ამა და ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით), ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში—ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემასა და დავალებაში მუშავდება, ასევე-დამატებითი მასალა; დავალების იდეაში-დავალების პირობა (ზუსტად ისე, როგორც მოსწავლეს ვეუბნებით, მაგ.: დაწერეთ მსჯელობითი ტიპის ტექსტი ლეგენდაზე დაყრდნობით შექმენით და ა.შ.), რესურსებში კი მხოლოდ ის მიეთითოს, სად მოიძებნება ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში ნახსენები მასალა (სახელმძღვანელო, ბმული, დამატებითი ლიტერატურის მითითება), დაკონკრეტდეს დავალებების პირობები. სასურველია საფეხურზე მაინც კურიკულუმის ერთიანი ჩარჩოს შემუშავება. ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (ქართული -III-IV კლასი) შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტებული იყოს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ, რომ მოსწავლეებსკარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით

		შესასწავლი საკითხების ცოდნას. *სპორტი* **რჩევა:** სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი დიზაინით. აგრეთვე, სასკოლო კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლო თემის შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურის გამო. მაგალითად: კალათბურთი და ფრენბურთი, რადგან დარბაზში არაა კალათბურთის ფარი და ფრენბურთის ბადე. *მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია მე-2 კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და მოხდეს თემების განსაზღვრა ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის მიხედვით.
ინდიკატორი *N2.1.2.2*	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური* **რჩევა:** სასურველია ბუნების კურიკულუმი (IV კლასი) დაკონკრეტდ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასე გამოიყოს ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები. *მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს პირველი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად (თემა: „ორიენტირება“).

ინდიკატორი *N2.1.2.3*	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	***მათემატიკა*** **რჩევა:** სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია გამოიყენოთ: I სკოლის რესურსები. math.ge ზე არსებული რესურსები, პროგრამა Geogebra, desmos და სხვა.
ინდიკატორი *N2.1.2.5*	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	***სახელმწიფო ენა*** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკა გაკეთდეს ყველა კონკრეტული დავალებისთვის და დაეფუძნოს როგორც სტანდარტის ინდიკატორებს, ასევე- დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რასაც სთხოვენ, იმას რომ უფასებენ. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეადგინონ და გამოიყენონ კონკრეტული თემის, კონკრეტული გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. ეს დაეხმარება მათ სწავლების პროცესის უკეთ დანახვაში და შუალედური მიზნის მიღწევის შეფასებაში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება, რადგან რუბრიკა სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს.

		სპორტი **რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებული საგნობრივ სტანდარტს, ისე, რომ აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად და კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემის საკითხებიდან. **მათემატიკა** **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
ინდიკატორი *N2.2.1.3*	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***სახელმწიფო ენა*** **რჩევა:** სასურველია, ნებისმიერი დავალების შეფასების რუბრიკები ეყრდნობოდეს სტანდარტის ინდიკატორებსა და თვითონ დავალების შეფასების კრიტერიუმებს. ***მათემატიკა*** **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისთვის, რომ

		შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს.
ინდიკატორი *N2.2.2.2*	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენებთ სწავლებაში, სასურველია შემოწმდეს გულდასმით (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი შესაბამისობა).
ინდიკატორი *N2.2.2.3*	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სპორტი** სასურველია, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყოს ისე, რომ მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილები გახდეს უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო.
ინდიკატორი *N2.2.2.1*	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია პედაგოგებმა გაამდიდრონ დამხმარე რესურსთა სია (მაგ: მე-3 კლასის რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოებია მითითებული).

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საგაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი *N2.1.2.1.*	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	***სახელმწიფო ენა*** **რჩევა:** სასურველია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რჩევები: ქართულის კურიკულუმში სიტყვა კლასტერი არსად არ ჩაიწეროს. სასურველია, დავალების იდეის გრაფაში ჩაიწეროს პირობა სწორედ ისე, როგორც მოსწავლეს ვეუბნებით — პირველ პირში, აქტიური ზმნებით (მაგ.: დაწერეთ წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან/პერსონაჟთან... ამა და ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით) ზეპირი მსჯელობა კურიკულუმში არ ჩაიწერება, ასევე მკაფიოდ მიეთითოს დავალებაში, კონკრეტულად რა საკითხის შესახებ უნდა იმსჯელოს მოსწავლემ არგუმენტირებულ ესესა თუ სხვა რომელიმე დავალებაში, დაიხვეწოს დავალების პირობები. სასურველია დავალებების გრაფაში გაიმიჯნოს ე.წ. შემოქმედებით და მიმდინარე დავალებები; ცნებებში მიეთითოს ყველა ცნება, რადგა დავალებებიდან გამომდინარე, თემაში ყველა ცნებაზე მუშაობ იგულისხმება. სასურველია, ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწერო ის ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემაში შეისწავლება, ამავ გრაფაში მოთავსდება დამატებითი ტექსტები (ფილმებ ვიდეოჩანაწერები, ილუსტრაციები და სხვ.), რომლებსაც მასწავლებელ თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანს ცნებებზე სამუშაოდ, ხოლ რესურსებში მიეთითოს, სად შეიძლება მოიძებნო ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებული მასალ საკითხების გრაფაში ჩაიწეროს დავალების დასახელება.

		რესურსებში მიეთითოს არა მხოლოდ სახელმძღვანელო, არამედ ყველა ის მასალა, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელი მუშაობს ამა თუ იმ თემაზე. *სპორტი* **რჩევა:** სასურველია, რომ სასკოლო კურიკულუმის შედგენისა პედაგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლო თემ შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურის გამო. მაგალითად: კალათბურთ და ფრენბურთი, რადგან დარბაზში არაა კალათბურთის ფარი ფრენბურთის ბადე. *მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია მე-7 კლასის კურიკულუმი გადაიხედოს და მოხდ თემების განსაზღვრა ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის მიხედვი (მაგალითად. თემა რიცხვები, მოქმედებები რიცხვებზე).
ინდიკატორი N2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	*მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს მე-7 კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ: თემა „მონაცემთა ანალიზი“ - შესაბამისობაშია მოსაყვანი ქვეცნებები)
ინდიკატორი	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის**	*მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების

N2.1.2.3	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, საბაზო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ (მაგ: მე-9 კლ.). სასურველია გამოიყენოთ: ilკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა.
ინდიკატორი *N2.1.2.5*	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*სახელმწიფო ენა* **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკა გაკეთდეს ყველა კონკრეტული დავალებისთვის და დაეფუძნოს როგორც სტანდარტის ინდიკატორებს, ასევე- დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რასაც სთხოვენ, იმას რომ უფასებენ. *ესთეტიკური აღზრდა* **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შეადგინონ და გამოიყენონ კონკრეტული თემის, კონკრეტული გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. ეს დაეხმარება მათ სწავლების პროცესის უკეთ დანახვაში და შუალედური მიზნის მიღწევის შეფასებაში. *სპორტი* **რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებულ საგნობრივ სტანდარტს, ისე რომ, აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად და კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემის საკითხებიდან. **მათემატიკა** **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია

		მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
ინდიკატორი *N2.2.1.3*	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	*სახელმწიფო ენა* **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკები ეყრდნობოდეს სტანდარტი ინდიკატორებსა და თვითონ დავალების შეფასების კრიტერიუმებს. **მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკა გადაიხედოს, რომ შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს, რომ გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა.
ინდიკატორი *N2.2.2.2*	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, შემოწმდეს გულდასმით (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი შესაბამისობა).
	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა	**სპორტი:**

ინდიკატორი *N2.2.2.3*	**უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სასურველია, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყოს ისე, რომ მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილები გახდეს უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო.
ინდიკატორი *N2.2.2.1*	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია პედაგოგებმა გაამდიდრონ დამხმარე რესურსთა სია (მაგ: მე-9 კლასის რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოებია მითითებული).
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	**რჩევა**
ინდიკატორი *N2.1.2.1.*	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	***სახელმწიფო ენა*** **რჩევა:** ქართულის კურიკულუმში სიტყვა კლასტერი არსად არ ჩაიწეროს. **მე-11 კლასი** სასურველია, სამიზნე ცნებების გრაფაში აისახოს ცნებები ნაცვლად შედეგებისა, საკითხებში- დავალების დასახელება, შუალედურ მიზნებში -დავალების პირობები; ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწეროს ძირითადი შესასწავლი ტექსტები, რომლებზეც მუშაობენ ამა თუ იმ თემაში, ასევე ის დამატებითი მასალა (სამეცნიერო ლიტერატურა, ფილმები, ვიდეორგოლები...), რომლებსაც იყენებენ ცნებებზე მუშაობისას. რესურსების გრაფაში კი მიეთითება ადგილი, სადაც იძებნება ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მოცემული ინფორმაცია. **მე-12 კლ.**

		სასურველია, თემა გამოიკვეთოს შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ. თუნდაც სახელმძღვანელოს სათაური- „ვემშვიდობებით XIX საუკუნეს“); საკითხში დაიწეროს დავალების დასახელება, ტექტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში-თემაში დასამუშავებელი ტექსტები და დამატებითი მასალა (ვიდეო, დამატებითი ლიტერატურა, მხატვრული ტექსტები და ა.შ.), რესურსებში მიეთითოს, ადგილი, სადაც იძებნება ტექსტები/კონტექსტმაგალითები. ყველა იმ საკითხის ჩამოწერა, რომლებიც თემაში მუშავდება (ანუ სახელმძღვანელოდან კურიკულუმში გადმოტანა არაა საჭირო). *სპორტი* **რჩევა:** სასურველია, რომ სასკოლო კურიკულუმის შედგენის პედაგოგებმა სასწავლო პროცესში არ შეიტანონ ის სასწავლო თემ რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ეტაპზე არსებულ ინფრასტრუქტურის გამო. მაგალითად: კალათბურთი და ფრენბურთ რადგან დარბაზში არაა კალათბურთის ფარი და ფრენბურთის ბადე.
ინდიკატორი *N2.1.2.3*	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	*მათემატიკა* **რჩევა:** სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია გამოიყენოთ: ilკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა.
ინდიკატორი	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს,**	*სახელმწიფო ენა* **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკა გაკეთდეს ყველა კონკრეტული დავალებისთვის და დაეფუძნოს როგორც სტანდარტის ინდიკატორებს, ასევე- დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა

N2.1.2.5	**მიზნებსა და ამოცანებს**	მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რასაც სთხოვენ, იმას რომ უფასებენ. *ესთეტიკური აღზრდა* **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე შეადგინონ და გამოიყენონ კონკრეტული თემის, კონკრეტული გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. ეს დაეხმარება მათ სწავლების პროცესის უკეთ დანახვაში და შუალედური მიზნის მიღწევის შეფასებაში. *სპორტი* **რჩევა:** სასურველია, რომ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებულ საგნობრივ სტანდარტს, ისე რომ, აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად და კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემის საკითხებიდან. *მათემატიკა* **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.

ინდიკატორი N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	***სახელმწიფო ენა*** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკები ეყრდნობოდეს სტანდარტის ინდიკატორებსა და თვითონ დავალების შეფასების კრიტერიუმებს. ***მათემატიკა*** **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს განმავითარებელი/განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკა საშუალო საფეხურისთვის, რომ შეესაბამებოდ ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა დ შეფასების ინდიკატორებს, რომ გამორიცხოს სუბიექტური/შემთხვევით ფაქტების გავლენა.
ინდიკატორი N2.2.2.2	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	***მათემატიკა*** **რჩევა:** სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. სასურველია ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენებთ სწავლებაში, გულდასმით შემოწმდეს (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი შესაბამისობა).
ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სპორტი** სასურველია, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყოს ისე, რომ მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილები გახდეს უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**მათემატიკა** **რჩევა:** სასურველია პედაგოგებმა გაამდიდრონ დამხმარე რესურსთა სია (მაგ: მე-11 კლასის რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოებია მითითებული).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს ,,სკოლა ეტალონმა“ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მტკიცებულებები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი მტკიცებულებები მიიჩნია არსებითად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში და შესაბამისად, სტანდარტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. შპს ,,სკოლა ეტალონმა“ ასევე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული ზოგიერთი რჩევა უკვე გათვალისწინებული ჰქონდა, თუმცა დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს ,,სკოლა ეტალონის" მისიაა ,,მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით იზრუნოს სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების დანერგვაზე, სადაც აკადემიურ ცოდნასთან ერთად, უსაფრთხო გარემოში მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობების აღმოჩენა-რეალიზება იქნება პრიორიტეტული". სკოლის ხედვაა: ,,უახლოეს შვიდ წელიწადში გახდეს რეგიონში წამყვანი და მზარდი საგანმანათლებლო კერა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას ჩამოყალიბდნენ თავისუფალ, მოაზროვნე და კონკურენტუნარიან მოქალაქეებად". სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ის ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და თანამედროვე სტანდარტების განათლების დანერგვაზე, სადაც უსაფრთხო გარემოში მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან თავისუფალ, მოაზროვნე და კონკურენტუნარიან მოქალაქეებად. შესაბამისად, სკოლის ფილოსოფია ეფუძნება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიასა და ხედვაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის მუდმივ განვითარებაზე და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების დანერგვაზე. სკოლის მისიაში გაცხადებულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო გარემოში მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობების აღმოჩენა-რეალიზება. პიროვნული განვითარებისთვის სკოლა ასევე იყენებს მრავალფეროვან ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და პროცესში ჩართული მხარეები. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ჩატარდა სასკოლო საზოგადოების კვლევა კითხვარის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა. მათგან მიღებული უკუკავშირით გათვალისწინებული იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები, სურვილები და შეხედულებები, რაც აისახა სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებები) შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნა სამუშაო ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემდეგ კი გადაიხედა და გაზიარდა მასწავლებლებთან შეხვედრებსა და მშობელთა კრებებზე. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე, ასევე გამოყენებულ იქნა შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; სოციალური მედია; საჯარო შეხვედრები; სკოლის საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლა დაფუძნდა 2015 წელს, სკოლის თავდაპირველი სახელწოდება იყო შპს ,,ეტალონი 2015“, იმისათვის რომ მისი სახელწოდება ყოფილიყო სტატუსის აღმნიშვნელი და კანონმდებლობის შესაბამისი, 2024 წლის ივლისში მეწარმეთა და

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ რეესტრში დარეგისტრირდა როგორც შპს ,,სკოლა ეტალონი'' და კანონმდებლობის შესაბამისად სახელის ცვლილებაზე აცნობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსაც. შესაბამისად, ახალი სახელწოდება „შპს სკოლა ეტალონი" სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის ოქმები
- მისია, ხედვა, ღირებულებები
- კითხვარი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", ეს წესი ადგენს სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს: სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს დაგეგმვის ჯგუფს. ის ასევე პასუხისმგებელია ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2024-2031 წლების პერიოდს. დოკუმენტი ასახავს შპს სკოლა ეტალონის მისიას, მიზნებს და განვითარების გრძელვადიან ხედვას, ასევე, წარმოდგენილია სტრატეგიული განვითარების მიზნები და ამოცანები, რომელთა თანმიმდევრული განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის განვითარება და სამომავლო ხედვასთან დაახლოება. სტრატეგიული დაგეგმარებისას სკოლა დაეყრდნო სკოლის ფილოსოფიას, გარემოს ანალიზს და სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და რისკების ანალიზს. სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, სკოლის ინფრასტრუქტურის

განვითარება, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება, ორგანიზაციული განვითარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების ჩამონათვალს და ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
პედაგოგიური საბჭოს ოქმი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაგეგმიური მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/ სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. ანგარიშის სახით მიღებული ინფორმაცია საჯაროობის უზრუნველყოფისათვის უნდა განთავსდეს ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანგარიშები საჯაროობის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშსა და შესაბამის მტკიცებულებებს. ანგარიშში წარმოდგენილი

მტკიცებულებები შეიცავს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებას, შესაბამისად **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში განთავსებული ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ყოველი წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა შესახებ, რომელსაც შემდეგში სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის დებულება“, რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურას და მართვის ძირითად წესებს, სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის, მოსწავლეთა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. ბრძანების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დამფუძნებელს, დირექციას, საინფორმაციო მენეჯერს (საქმისწარმოება), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მოსწავლეთა თვითმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს და მშობელთა სათათბიროს. დებულებაში განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ასევე გაწერილია სკოლის პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანების ,,სკოლის დებულება" შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სკოლის ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორიელებას. სკოლის დირექციის განმარტებით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობების განაწილება ხდება ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული/პირი ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგანილი წესით განსაზღვრულ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის დებულება
სკოლის სტრუქტურა
პედაგოგიური საბჭოს ოქმები
კათედრის ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სკოლის მიერ დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის

პრინციპებსა და პოლიტიკას. სკოლის მიერ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აგრეთვე სკოლის დებულებით, შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, რომლებიც დადგენილია სკოლის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლების მხრიდან გაცდენები იშვიათია, მაგრამ გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექტორით განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილება, ხოლო ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის გამოცხადება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები, რომელიც ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაყრდნობით. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შერჩევას და მოზიდვას. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე teacherjobs.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის დაცვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შიდა ან ღია კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების შემოწმებისას, ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არ იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები, კერძოდ უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ტექნიკური მენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, დარაჯი და დამლაგებელი. სკოლაში ასევე დასაქმებულია 28 მასწავლებელი, აქედან 1 მენტორი, 1 წამყვანი, 15 უფროსი, 10 მოწვეული და 1 მაძიებელი მასწავლებელი. თითოეულ პედაგოგთან გაფორმებულია კანონმდებლობასთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიული წარმატება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი, რომელთა მიხედვითაც წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებელები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, სემინარებსა და კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დებულება

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

კონკურსის მასალები

შრომითი ხელშეკრულებები

პედაგოგიური საბჭოს ოქმი

კათედრის ოქმები

შინაგანაწესი

საშტატო განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შეიცავს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სისტემატურად ახორციელებს პერსონალის შეფასებას, რომლის ძირითადი ეტაპებია: დაგეგმვა, თვითშეფასება, გასაუბრება და საბოლოო შეფასება. ასევე სკოლა იყენებს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, მათ შორის კითხვარებს. ამ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების პროცესს და სთავაზობს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, სკოლა შეფასებისა და შემდეგ ამ შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას. დაწესებულება ასევე აქტიურად იყენებს კითხვარებს, რაც უზრუნველყოფს გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და შემდეგ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა, ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი

აქტივობები. სკოლა ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

იმისთვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მან უნდა გაიაროს ადაპტაციის პროცესი. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ არეგულირებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა წახალისების ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი შეიცავს პერსონალის წახალისების მეთოდებსა და მათი გამოყენების წესს, რაც

ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
საგნობრივი კათედრის წევრის თვითშეფასების კითხვარი
კვლევის ანგარიში
შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ეროვნულ სასწავლო გეგმით დადგენილ სტანდარტებთან, სკოლის სასწავლო გეგმის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსების, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ხარისხის სისტემატური შეფასების გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, უსაფრთხოების პოლიტიკა. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი შეიცავს პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირების მექანიზმებს. სასურველია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში კონკრეტულად აღწეროს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება ,,კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები" და

შინაგანაწესი. დოკუმენტებში აღწერილია რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები. ასევე განსაზღვრულია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. სკოლას ჰყავს არჩეული დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არის საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ეფექტიანი საშუალება და სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“, შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლას ასევე ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომლითაც სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
ხარისხის შეფასების ჩეკლისტი
სკოლის დებულება
სასკოლო სასწავლო გეგმა
კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ეს წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების წესს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებგვერდი, ელფოსტა, სოციალური არხი) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი აგრეთვე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზსა და რეაგირების ფორმებს. სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელების საშუალებით. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა სათათბირო. სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმები ადასტურებს, რომ სასკოლო

საზოგადოების ყველა წევრს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მართვის კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი
პედსაბჭოს ოქმები
თვითმმართველობის ოქმი
მშობელთა სათათბიროს დებულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა", რომლის მიზანია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება. ასევე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს სერთიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სკოლის ძირითადი შენობა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 13 ვიდეო კამერა, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შენობის დაცვას. სკოლაში ხორციელდება ვიზიტორთა აღრიცხვა. სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. ასევე სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებისთვის. სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, კერძოდ, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლის მიხედვითაც სკოლის სასწავლო შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ საპირფარეშოს შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, შენობა საჭიროებს კაპიტალური სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სველი წერტილები არ არის ცალკე მდგომი შენობა, ის სკოლის ძირითად შენობაზეა მიშენებული და არის სკოლის შენობის ნაწილი. **რჩევა:** სკოლამ გაითვალისწინოს საპირფარეშოს შენობის თაობაზე ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული ფაქტი და მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დროულად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც არის კეთილმოწყობილი და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს შერჩეული სათანადო კვალიფიკაციის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიცავს ექიმის ვალდებულებას, მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე, შეაფასოს მისი სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი", რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა" და განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შესვენების დროს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები. ასევე მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე, კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ეკრძალებათ სკოლის შენობის დატოვება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა", რომლის მიზანია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლაში ასევე იმართება საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი". სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პასუხისმგებელია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და მონიტორინგის განხორციელებაზე. სკოლას ასევე ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სისუფთავის დაცვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი", რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს და მათ უფლებამოსილებას. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. ბრძანებაში დეტალურად არის აღწერილი თითოეული თანამშრომლის ვალდებულება უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია

ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომლის მიზანია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება. უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სკოლას ჰყავს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, საგანგებო სიტუაციების შტაბი, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ საგანგებო სიტუაციების პრევენციას, მზადყოფნის ღონისძიებების დაგეგმვას და ეფექტური მონიტორინგის სისტემის ამუშავებას სკოლაში ძალადობის პრევენციისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა
მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
ექიმის კონკურსის მასალები
ექიმის ხელშეკრულება
ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები
საქმისწარმოების წესი

საშტატო განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს ,,სკოლა ეტალონი“ მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ქალაქ წნორში, ერეკლე II ქ. N24. სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლას 01/05/2040 წლამდე იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული აქვს 533 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე შენობით. შენობა არის ორსართულიანი. სკოლას აქვს 12 საკლასო ოთახი, რაც საკმარისია სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (200) მოსწავლეებისთვის ერთ ცვლის პირობებში. ასევე სკოლაში არის სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ

რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორია შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,რესურსებით სარგებლობის წესი", სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის წესი და პირობები. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის ძირითადი პრინციპებია: სკოლაში არსებული რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის და რესურსთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის; წესის შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს მხატვრული წიგნადი ფონდი, რომლის სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებული და დამტკიცებულია ,,ბიბლიოთეკის დებულება", სადაც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, არსებული რესურსებით სარგებლობისა და გამოყენების, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დებულების თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პასუხისმგებელია სახელმძღვანელოების მიღებაზე, დამუშავებაზე და აღრიცხვაზე, ასევე დადგენილი წესით საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია სასწავლო რესურსების კატალოგში, სადაც თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში აქვს სივრცე, რომ გამოყოს რესურსოთახი. სკოლას აქვს შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლი შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე მოწყობილია მეორე სართულზე ასასვლელი მოძრავი პანდუსი.

სკოლის სპორტულ დარბაზს არ ჰქონდა პანდუსი. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც სპორტული დარბაზის ჩასასვლელ კიბეზე დამონტაჟებულია მოძრავი პანდუსი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობაში არის სააქტო დარბაზი, სადაც სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფილია შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიება მოსწავლეების მონაწილეობით, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
რესურსებით სარგებლობის წესი
მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბალანსზე ირიცხება 15 კომპიუტერი. სკოლას აქვს ასევე პრინტერი, სკანერი, პრინტერი. აღნიშნული დასტურდება კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტებით, შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ და ასევე აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის ძირითადი პრინციპები და ფუნქციებია სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი და საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა: კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

ციფრული განვითარების გეგმა

მიღება-ჩაბარების აქტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზაციულ სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლას ხელშეკრულებით აქვს გადაცემული ლიცენზია სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა schoolbook-ის გამოყენებაზე. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული სისტემის საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვა. ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც ასევე ახორციელებს წერილების მიღებას, რეგისტრაციას და გაგზავნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ელექტრონული ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის“ შესაბამისად პასუხისმგებელია დროულად მიაწოდოს ანგარიშები, უკუკავშირი და ინფორმაცია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და ითანამშრომლოს მათთან, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საქმისწარმოების წესი
ხელშეკრულება შპს სქულ მენეჯმენტ სისტემთან

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ვებგვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია

ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე სოციალურ ქსელს, ელფოსტას და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის/კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს სხვადასხავა საკომუნიკაციო საშუალებებს (სოციალური ქსელები, ელფოსტა, თიმსი) სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, დახურული სოციალური ქსელებიდან, ელფოსტის, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები მოიცავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები და ჩარიცხვის პროცედურები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ბიუჯეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიუჯეტი, რომლის შედგენის დროს სკოლა ითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით. დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენენ სკოლის დირექტორი და ბუღალტერი სასკოლო საზოგადოების წევრების აზრების გათვალისწინებით. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება საბოლოო ბიუჯეტის ფორმირება. სკოლას ასევე დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი

მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არშეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა. სკოლაში მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, ასევე დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები და გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით

დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ასევე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების მეშვეობით, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. სწავლის საფასურისა და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **რჩევა:** სასურველია ხელშეკრულებაში ასევე იყოს მითითებული საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შედეგები, მაგალითად, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ გადაიხდის სწავლის საფასურს, რა ზომების მიღების უფლება აქვს სკოლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

რეფერირების შიდა ინსტრუქცია

უსაფრთხოების პოლიტიკა
მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
ვებგვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი". ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები, სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. ბრძანება ასევე ითვალისწინებს ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეწყვეტის წესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

   სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ,,მოსწავლის ჩარიცხვის", ,,საფეხურის დაძლევის", ,,მობილობის შესახებ" ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მართვის ელექტრონული ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესში და სკოლის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებში. დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებებს ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რაც უზრუნველყოფს, რომ სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაციები იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ასევე სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შინაგანაწესი

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლაში და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. ბრძანება შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", სადაც განსაზღვრულია პირველკლასელთა ადაპტაცია. სკოლა წესის შესაბამისად სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (საკლასო ოთახების, სააქტო დარბაზის, სპორტული დარბაზის და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლაში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი. რემედიაციის პროგრამის ამოქმედების საჭიროება არ ყოფილა, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შესთავაზოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო გარკვეული პრობლემები და ჩამორჩენა ექნებათ სწავლაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ ინფორმაცია დროულად განთავსდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს საკუთარი დებულება. მათი ინიციატივით სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლაში ფუნქციონირებენ კლუბები: „დიოგენეს ლამპარი“, სამოქალაქო განათლების კლუბი „აქტიური Gen-Z". კლუბებს აქვთ თავიანთი წესდება და მათი მიზანია მოსწავლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, მათი ჩართვა სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. სკოლაში წინასწარ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი არაფორმალური აქტივობა, პროექტი, ექსკურსია, საქველმოქმედო ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან. მაგალითად, მშობელთა სათათბიროს სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ამ დრომდე ჩატარებული ღონისძიებების უკუკავშირი და მსგავსი ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად არ აქვთ, ამიტომ მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს უკუკავშირის ფორმა, კითხვარი, რომელსაც გამოიყენებს თითოეულ აქტივობაში, რომ გაზომოს თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მონაწილე და დაინტერესებული პირების შემდგომი ნაბიჯები. მაგალითად, თუ სკოლა ჩაატარებს მშობელთა შეხვედრას, მონაწილეებს შეეძლებათ შეაფასონ: რამდენად მიაღწია შეხვედრამ დასახულ მიზანს; რამდენად იყო ინფორმაცია გასაგები და პრაქტიკულად გამოსაყენებელი; რამდენად იგრძნეს საკუთარი ჩართულობა და მნიშვნელობა პროცესში; რა რეკომენდაციებს სთავაზობენ სკოლას მომავალი აქტივობების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
კლუბ დიოგენეს ლამპარის წესდება
კლუბ სამოქალაქო განათლების წესდება
ტრანზიციისა და რემედიაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   სკოლა ზრუნავს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვისა და შემდეგში შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს პროფესიული უნარების სწორად განსაზღვრაში. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი წნორის სამედიცინო და ჰუმანიტარულ სასწავლებელთან, რომლის მიზანია მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა. ასევე სკოლის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით თანამშრომლობა, მოსწავლეებში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, არაფორმალური აქტივობების წახალისება და ინიციატივების მხარდაჭერა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს

პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა მიმართულებით კვლევები კითხვარების საშუალებით. სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით, მოსწავლეებს ხელი ეწყობათ საკუთარი შესაძლებლობესისა და ინტერესების გამოვლენაში, ისინი ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლა აღნიშნულით დაეხმარება მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სკოლა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სასწავლებლების შესახებ. **რჩევა:** სასურველია სკოლამ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩაატაროს კვლევა, რა ტიპის დაწესებულებებში ჩაირიცხნენ მისი კურსდამთავრებულები, დასაქმდნენ თუ არა შესწავლილი პროფესიის მიხედვით და ა.შ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეაფასოს, მის მიერ განხორციელებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა იყო თუ არა შედეგიანი და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში გააუმჯობესოს იგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

არაფორმალური აქტივობები

მემორანდუმი

კითხვარი

პროექტები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინკლუზიური განათლების პოლიტიკა", რომელიც შეიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირების წესს და სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის მზაობას საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებზე ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო პროცესსა და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვისთანავე ან მოსწავლისათვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭებისთანავე განახორციელონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

ინკლიზიური განათლების პოლიტიკა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტის მომსახურებით. სკოლას ჰყავს მძღოლი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. სხვა დამატებით (არასავალდებულო) სახის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს, თუმცა სკოლის 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ/გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი და უფასო წრეების სახით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. **რჩევა:** სასურველია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული ჩანაწერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არასავალდებულო მომსახურების სახით სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურებას, სხვა დამატებით (არასავალდებულო) სახის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით, უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მძღოლთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლოკურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლოკურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლოკურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზითითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი დაფუძნებულია მეთოდოლოგიაზე, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. ექსპერტებთან ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად

დგინდება, რომ კურიკულუმების მომზადებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის უკუკავშირი. მაგალითად, უცხოური ენების კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში მხედველობაში მიიღეს როგორც მოსწავლეთა ინტერესები, ისე მშობლებისგან მიღებული უკუკავშირი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმები შინაარსობრივად პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოლოდინებსა და ინტერესებს. ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ თემებსა და აქტივობებს, რომლებიც, გარდა სავალდებულო სტანდარტისა, ორიენტირებულია მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებაზე. სახელმწიფო ენის კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათ მისწრაფებებს. კურიკულუმი აღქმულია, როგორც ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმების შემუშავების პროცესი კოლეგიურია და მასში აქტიურად არიან ჩართულნი საგნობრივი კათედრები. დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ კათედრების წევრები უშუალოდ მონაწილეობდნენ კურიკულუმის ფორმირებაში. ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ ასრულებენ, არამედ თავად ქმნიან და აანალიზებენ შემუშავებულ გეგმებს, რაც ადასტურებს მათ ავტორობასა და პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს შეთანხმებულ ჩარჩოს, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის მიერ. კათედრებზე მიმდინარეობს მუდმივი მსჯელობა და ანალიზი იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად მიემართება კურიკულუმი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების მიერ გაიცა რეჩევები გარკვეული ტექნიკური გრაფების დახვეწის შესახებ (მაგალითად, მათემატიკისა და ქართული ენის ნაწილში), თავად კურიკულუმის არსი და მისი მოსწავლეზე ორიენტირებულობა სკოლის პერსონალის მიერ სრულად არის გააზრებული და მიღებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
პედსაბჭოს და კათედრის ოქმები
სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
სკოლი სფილოსოფიის შემუშავების კითხვარის ანალიტიკური ანგარიში
სტრატეგიული განვითარების გეგმა
სამუშაო ჯგუფების ოქმები
სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში
დირექტორის მოადგილის I სემესტრის ანგარიში
საგნობრივი კათედრების დებულებები
საგნობრივი კათედრების წევრების თვითშეფასების კითხვარი-ჩეკლისტები
კომპლექსურიდავალებისდანართი
სკოლის თვითშეფასების კითხვარი
ფოტომასალა
სკოლის ვებგვერდი
ვიდეომასალები
კითხვარები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულიმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლის განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნულის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ. კურიკულუმების შემუშავების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინეს მოსწავლეების საჭიროებები, ინტერესები, მშობლემის უკუკავშირი და ეროვნული სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება,რომ ესთეტიკის კათედრაზე ხდება შემუშავებული კურიკულუმების ანალიზი. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.კურიკულუმები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ შედეგებისკენ. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ თემებსა და აქტივობებს, რაც ერთი მხრივ სავალდებულოა, მეორემხრივ კი მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებული

	კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მის განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას ეყრდნობა და მოსწავლის განვითარებაზეა ორიენტირებული, რამდენადაც მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განვითარების თავისებურებანი, კურკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს. სიტყვა კლასტერი ქართულის კურიკულუმში არსად არაა საჭირო. **1-ელი კლასი** საკითხების გრაფაში ხან შესასწავლი ტექსტები წერია, ხან-აქტივობები და ზოგან-რესურსებიც, შუალედური სასწავლო მიზნის გრაფაში (რომელიც, სავარაუდოდ, დავალების პირობის ჩანაწერს უნდა მოიაზრებდეს), მითითებულია სახელმძღვანელოს ესა თუ ის მასალა. აქტივობების გრაფაში წერია, სავარაუდოდ, შემოქმედებითი დავალების დასახელება. ნათქვამიდან გამომდინარე, სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და შეიმუშაონ ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდება, თითოეული დანაყოფის ფუნქცია. აუცილებელია, ჩარჩოში იყოს შემდეგი გრაფები: თემა, ცნებები, ტექსტები/კონტექსტმაგალითები, დავალების იდეა/პირობა და რესურსები. **მე-2 კლასი** საკითხების გრაფაში წერია დავალებების დასახელება, შუალედური სასწავლო მიზნის გრაფაში-შემოქმედებითი დავალებები, ძირითადი ტექსტები და კონტექსტმაგალითები-რესურსების გრაფაში. სასურველია, ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფა ცალკე იყოს, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს, კონკრეტულად რომელ ტექსტს მიემართება დავალება. **მე-3 კლ.** საკითხების გრაფაში წერია ტექსტები და ყველა საკითხი, რომლებიც თემაში მუშავდება, კონტექსტმაგალითების გრაფაში ხან დავალების იდეები წერია, ხან- რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება; დავალების იდეაში-დავალებები სახელდება; რესურსები საკითხების გრაფის იდენტურია, დამატებულია სახელმძღვანელოს მითითება. სასურველია, მკაფიოდ გაიმიჯნოს თითოეული გრაფის შიგთავსი: საკითხში დაიწეროს

	დავალების დასახელება, ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში-ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემასა და დავალებაში მუშავდება, ასევე-დამატებითი მასალა; დავალების იდეაში-დავალების პირობა, რესურსებში კი მხოლოდ ის მიეთითოს, სად მოიძებნება ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში ნახსენები მასალა (სახელმძღვანელო, ბმული, დამატებითი ლიტერატურის მითითება). **მე-4 კლ.** საკითხების გრაფაში წერია ყველა საკითხი, რომლებიც თემაში მუშავდება, ტექტსტების გრაფაში-თემაში შესასწავლი ტექსტები, დავალების გრაფაში-დავალების დასახელება, ანუ ის, რაც უნდა ეწეროს საკითხების გრაფაში, რესურსების გრაფა საერთოდ არაა წარმოდგენილი. **მე-5 კლ.** სრულიად განსხვავებული კურიკულუმია წარმოდგენილი: ცნებების გრაფაში საბაზო საფეხურის ყველა ცნებაა ერთიანად მოცემული გრაფის დასახელებაში, თემასთან მიმართებით კი ქვეცნებებია ჩამოწერილი; ამკურიკულუმში გაჩნდა ცალკე გრაფა სტანდარტის შედეგების მითითებით; გრაფებში : შუალედური შედეგის შესამოწმებელი დავალების იდეა, წერითი სამუშაოები. აქტივობები და სასწავლო რესურსები დავალებაზე მუშაობისთვის-აბსოლუტურად ერთნაირი ინფორმაციაა ყველა თემასთან მიმართებით. სასურველია საფეხურზე მაინც კურიკულუმის ერთიანი ჩარჩოს შემუშავება. **მე-6 კლ.** აქაც აღრევაა გრაფებს შორის: ძირითად კონტექტსმაგალითის გრაფაში წერია ის საკითხები, რომლებიც თემაში მუშავდება, საკითხების გრაფაში-ტექსტების ჩამონათვალია, რომელიც ისევ მეორდება რესურსების გრაფაში (რესურსებში ყველა თემაში სახელმძღვანელოს სრული დასახელება არაა საჭირო). სასურველია, ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწეროს ის ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემაში შეისწავლება, ამავე გრაფაში მოთავსდება დამატებითი ტექსტები (ფილმები, ვიდეოჩანაწერები, ილუსტრაციები და სხვ.), რომლებსაც მასწავლებელი, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანს ცნებებზე სამუშაოდ, ხოლო რესურსებში მიეთითოს, სად შეიძლება მოიძებნოს ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებული მასალა. რაც შეეხება საკითხების გრაფას, აქ ჩაიწერება ის, რაც ახლა წერია შუალედურ მიზნებში, ხოლო აღნიშნულ გრაფაში ჩაიწეროს დავალების პირობა ზუსტადი სე, როგორც მოსწავლეს ვეუბნებით, მაგ.: დაწერეთ მსჯელობითი ტიპის ტექსტი...

	ლეგენდაზე დაყრდნობით შექმენით... და ა.შ. **მე-7 კლ.** მეტ-ნაკლებად ადეკვატურადაა წარმოდგენილი სასწავლო მასალა გრაფებში. სასურველია, დავალების იდეის გრაფაში ჩაიწეროს პირობა სწორედ ისე, როგორც მოსწავლეს ვებუბნებით, პირველ პირში, აქტიური ზმნებით, მაგ.: დაწერეთ წარმოსახვითი ინტერვიუ ავტორთან/პერსონაჟთან... ამა და ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით... ზეპირი მსჯელობა ნაკლებად შეეფერება შემოქმედებითი დავალების სტატუსს, ეს ნებისმიერი გაკვეთილის თანმხლები რიგითი აქტივობაა, გაუგებარია, რას ნიშნავს დავალების გრაფაში ჩანაწერი -მემუარები, ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია-დასაზუსტებელია, რა დავალება ეძლევა მოსწავლეს, ასევე-რას გულისხმობს არგუმენტირებული ესე სამშობლოს თემაზე, რაუ ნდა ამტკიცოს ან უარყოს მოსწავლემ? მკაფიოდ უნდა მიეთითოს, კონკრეტულად რა საკითხის შესახებ უნდა იმსჯელოს არგუმენტირებულად. **მე-8 კლასი** სასურველია დავალებების გრაფაში გაიმიჯნოს ე.წ. შემოქმედებითი და მიმდინარე დავალებები; ცნებებში მიეთითოს ყველა ცნება, რადგან, დავალებებიდან გამომდინარე, თემაში ყველა ცნებაზე მუშაობა იგულისხმება. **მე-9 კლასი** შუალედურ მიზნებში წერია სტანდარტის ინდიკატორები, საკითხებში -ტექსტები, აქტივობებში-დავალებათა დასახელებებია. სასურველია, ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწეროს ის ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემაში შეისწავლება, ამავე გრაფაში მოთავსდება დამატებითი ტექსტები (ფილმები, ვიდეოჩანაწერები, ილუსტრაციები და სხვ.), რომლებსაც მასწავლებელი, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანს ცნებებზე სამუშაოდ, ხოლო რესურსებში მიეთითოს, სად შეიძლება მოიძებნოს ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებული მასალა. რაც შეეხება საკითხების გრაფას, აქ ჩაიწერება დავალების დასახელება, ანუ ის, რაც ახლა აქტივობებში წერია, ხოლო შუალედურ მიზნებში (სასურველია დაერქვას დავალების პირობა/იდეა) ჩაიწეროს დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც მოსწავლეს ვეუბნებით. **მე-10 კლ.** საკითხებისა და დავალებების გრაფა იდენტურია, რაც აზრს უკარგავს ამ ორიგრაფის არსებობას. სასურველია, დავალებების გრაფაში დავალების პირობა სრულად ჩაიწეროს, ისე, როგორც

	ვავალებთ მოსწავლეს- დაწერეთ ანალიტიკური ესე... მოამზადეთ პრეზენტაცია ... და ა.შ. ასევე სასურველია, მკაფიო და გასაგები იყოს დავალების პირობები, მაგ. რა იგულისხმება ამ დავალებაში- საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტის შექმნა მოწამე დედოფლის შესახებ „შუშანიკის წამებაზე“ დაყრდნობით-მეტად ბუნდოვანია; ანდაც - ლიტერატურული თხზულების შექმნა ბოროტების გარდაუვალი მარცხის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით- გაუგებარია, რა ჟანრია ლიტერატურული თხზულება... რესურსებში მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელო. ვფიქრობთ, მასწავლებელი გაკვეთილებზე მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ კმაყოფილება და უეჭველად მიმართავს დამატებით მასალას, რისი კურიკულუმში შეტანა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. **მე-11 კლასი** სამიზნე ცნებების გრაფაში ცნებების ნაცვლად შედეგებია ასახული, საკითხებში-შესასწავლი ტექსტები, შუალედურ მიზნებში დამატებითი კონტექსტმაგალითები წერია, რესურსებში მითითებულია სახელმძღვანელო და დავალებათა დასახელებები, ხოლო ბოლო გრაფაში-კონტექსტმაგალითებში-მითითებულია საკითხები, რომლებსაც თემაში ამუშავებენ, ასევე-დავალებათა დასახელებები. ვფიქრობთ, ამგვარად წარმოდგენილი სასწავლო გეგმა სრულიად ბუნდოვანი და ერთმანეთში არეულია, სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს ნათქვამი და მომავალში უფრო მკაფიო კურიკულუმი შეადგინოს. **მე-12 კლ.** თემაში წერია მიმდინარეობები, საკითხში-თემა და ტექსტები, ძირითად კონტექსტმაგალითებში საკითხები, რომლებიც მუშავდება თემაში, შუალედურ მიზნებში-დავალების იდეები. რესურსებში-სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსები. სასურველია, თემა გამოიკვეთოს შინაარსობრივი თვალსაზრისით, მაგ. თუნდაც სახელმძღვანელოს სათაური- „ვემშვიდობებით XIX საუკუნეს“; საკითხში დაიწეროს დავალების დასახელება, ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში-თემაში დასამუშავებელი ტექსტები და დამატებითი მასალა (ვიდეო, დამატებითი ლიტერატურა, მხატვრული ტექსტები და ა.შ.), რესურსებში მიეთითოს, ადგილი, სადაც იძებნება ტექსტები/კონტექსტმაგალითები. ყველა იმ საკითხის ჩამოწერა, რომლებიც თემაში მუშავდება (ანუ სახელმძღვანელოდან კურიკულუმში გადმოტანა), არაა საჭირო, ეს ხომ ე.წ. თემატური გეგმა არაა. კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ მომავალში კურიკულუმი შედგენისას

	გაითვალისწინებენ ამ რჩევებს, რასაც ადასტურებს ვიზიტის შემდგომ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. **რჩევები:** სასურველია ქართულის კურიკულუმში სიტყვა კლასტერი არსად არ დაიწეროს. სასურველია, სამივე საფეხურის კათედრაზე შეთანხმდნენ და შეიმუშაონ ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდება, თითოეული დანაყოფის ფუნქცია. აუცილებელია, ჩარჩოში იყოს შემდეგი გრაფები: თემა, ცნებები, ტექსტები/კონტექსტმაგალითები, დავალების იდეა/პირობა და რესურსები. მკაფიოდ გაიმიჯნოს თითოეული გრაფის შიგთავსი: თემაში-ზოგადი დასახელება თემატიკისა, რომელიც კონკრეტულ თავში მუშავდება, საკითხში დაიწეროს დავალების დასახელება სახელდებითი წინადადებით (მაგ. პერსონაჟის ხედვის კუთხის შეცვლა ამა და ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით...), ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში—ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემასა და დავალებაში მუშავდება, ასევე-დამატებითი მასალა; დავალების იდეაში-დავალების პირობა (ზუსტად ისე, როგორც მოსწავლეს ვეუბნებით, მაგ.: დაწერეთ მსჯელობითი ტიპის ტექსტი... ლეგენდაზე დაყრდნობით შექმენით... და ა.შ.), რესურსებში კი მხოლოდ ის მიეთითოს, სად მოიძებნება ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში ნახსენები მასალა (სახელმძღვანელო, ბმული, დამატებითი ლიტერატურის მითითება). ზეპირი მსჯელობა, რიგითი აქტივობაა და არა შემოქმედებითი დავალება, ამიტომ კურიკულუმში არ ჩაიწერება, ასევე მკაფიოდ მიეთითოს დავალებაში, კონკრეტულად რა საკითხის შესახებ უნდა იმსჯელოს მოსწავლემ არგუმენტირებულ ესესა თუ სხვა რომელიმე დავალებაში, დაიხვეწოს დავალების პირობები. სასურველია დავალებების გრაფაში გაიმიჯნოს ე.წ. შემოქმედებითი და მიმდინარე დავალებები; ცნებებში მიეთითოს ყველა ცნება, რადგან, დავალებებიდან გამომდინარე, თემაში ყველა ცნებაზე მუშაობა იგულისხმება. სასურველია, ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწეროს ის ტექსტები, რომლებიც კონკრეტულ თემაში შეისწავლება, ამავე გრაფაში მოთავსდება დამატებითი ტექსტები (ფილმები, ვიდეოჩანაწერები, ილუსტრაციები და სხვ.), რომლებსაც მასწავლებელი, თავისი შეხედულებისამებრ, შეიტანს ცნებებზე სამუშაოდ, ხოლო რესურსებში მიეთითოს, სად შეიძლება მოიძებნოს ტექტსები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებული მასალა. რაც შეეხება საკითხების გრაფას, აქ ჩაიწერება დავალების

	დასახელება. რესურსებში მიეთითოს არა მხოლოდ სახელმძღვანელო, არამედ ყველა ის მასალა, რომლებზე დაყრდნობითაც მასწავლებელი მუშაობს ამა თუ იმ თემაზე. დაკონკრეტდეს დავალებების პირობები. სასურველია საფეხურზე მაინც კურიკულუმის ერთიანი ჩარჩოს შემუშავება. მე-11 კლასი სასურველია, სამიზნე ცნებების გრაფაში აისახოს ცნებები ნაცვლად შედეგებისა, საკითხებში- დავალების დასახელება, შუალედურ მიზნებში -დავალების პირობები; ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში დაიწეროს ძირითადი შესასწავლი ტექსტები, რომლებზეც მუშაობენ ამა თუ იმ თემაში, ასევე ის დამატებითი მასალა (სამეცნიერო ლიტერატურა, ფილმები, ვიდეორგოლები...), რომლებსაც იყენებენ ცნებებზე მუშაობისას. რესურსების გრაფაში კი მიეთითება ადგილი, სადაც იძებნება ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში მოცემული ინფორმაცია. მე-12 კლ. სასურველია, თემა გამოიკვეთოს შინაარსობრივი თვალსაზრისით (მაგ. თუნდაც სახელმძღვანელოს სათაური- „ვემშვიდობებით XIX საუკუნეს“); საკითხში დაიწეროს დავალების დასახელება, ტექტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში-თემაში დასამუშავებელი ტექსტები და დამატებითი მასალა (ვიდეო, დამატებითი ლიტერატურა, მხატვრული ტექსტები და ა.შ.), რესურსებში მიეთითოს, ადგილი, სადაც იძებნება ტექსტები/კონტექსტმაგალითები. ყველა იმ საკითხის ჩამოწერა, რომლებიც თემაში მუშავდება (ანუ სახელმძღვანელოდან კურიკულუმში გადმოტანა), არაა საჭირო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხთა კლასტერებსა, შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება.

	გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი ეფექტურად მუშაობენ როგორც გრძელლვადიან ასევე შუალედურ მიზნებზე, იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **რჩევა:** სასურველია მე-2 კლასის და მე-7 კლასის (თემა: რიცხვები, მოქმედებები რიცხვებზე) კურიკულუმი გადაიხედოს და მოხდეს თემების განსაზღვრა ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, თუმცა ნაკლებადაა მორგებული სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანაას. კურიკულუმის ჩარჩოში იყო მცირე შინაარსობრივი უზუსტობა, რაც აღინიშნა ინტერვიუსას და გაითვალისწინებს პედაგოგი. გაიცა ასევე რჩევა სამომავლოდ. **რჩევა:** 1.სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი დიზაინით. 2. სასურველია, რომ სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმის შედგენისას პედგოგებმა თავი შეიკავონ სასწავლო პროცესში იმ სასწავლო თემის შეტანისაგან, რომლის განხორციელებაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურის გამო. მაგალითად: კალათბურთი და ფრენბურთი, რადგან დარბაზში არაა კალათბურთის ფარი

	და ფრენბურთის ბადე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (ქართული -III-IV კლასი) შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტებული იყოს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ჰქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეულ სავალდებულო თემაში გაწერილია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები. ინტერვიუირების დროს პედაგოგებმა განმარტეს შუალედური მიზნების განხორციელების პროცესში, რომელ ფუნქციურ-კომპონეტურ უნარების განვითარებაზე იმუშავებენ მოსწავლეებთან. ინტერვიუირების პროცესში ასევე გამოვლინდა, რომ პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში შეიმუშავენ ისეთი სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება მოსწავლეებში განავითარონ გლობალური ფუნქციური უნარები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილია, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის შესაბამისი აქტივობები. მათი განხორციელებით მიღწევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი (ხელოვნება–მუსიკა) სტანდარტების მისაღწევი შედეგები. კურიკულუმებში გათვალისწინებული და გაწერილია ესთეტიკის მიმართულების საგნების სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს შესაბამის სამიზნე ცნებებზე გასვლას. შესაბამისად, კურიკულუმები მიემართება ესგ–ით

	განსაზღვრულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია გადაიხედოს პირველი და მე-7 კლასის კურიკულუმები და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად_მაგ: პირველი კლასი - თემა: „ორიენტირება“, მე-7 კლასი- თემა „მონაცემთა ანალიზი“ - შესაბამისობაშია მოსაყვანი ქვეცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები როგორც თეორიული და

	პრაქტიკული მიმართულებით, საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ–უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge) **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **რჩევა:** ბუნების კურიკულუმი (IV კლასი) დაკონკრეტდეს კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასევე გამოიყოს ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ის რესურსები, რომლებიც დაეხმარებათ მიზნების განხორციელებაში. რესურსები მატერიალური და ელექტრონული , ორივე სახის, ხელს უწყობს შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი არის, როგორც ძირითადი რესურსი სახელმძღვანელოს სახით, ასევე ინტერნეტ რესურსი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალიწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტორნული და მატერიალური რესურსები მასწავლებლის მიერ შექმნილი ან მოძიებული რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალიწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულების კურიკულუმებში, თითოეულ სავალდებულო ბლოკში გაწერილი თემისთვის განსაზღვრულია ძირითადი საგანმანათლებლო და ხშირ შემთხვევაში დამატებითი რესურსიც. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის გრიფირებული სახელმძღვანელო. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც, მათ შორის ტელესკოლის რესურსებსა და სამინისტროს მიერ მიწოდებულ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძვანელოებს, დამატებით სამეცნიერო ლიტერატურას, მასალას იუთუბ არხიდან, ტელესკოლის გაკვეთილებს, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; საჭირო რესურსების შესახებ კათედრა წინასწარ თანხმდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელე სკოლის" ვიდეო გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები. Ck-12 სახელძღვანელო, სიმულაციები phet-is ; geogebra-ს. ასევე იყენებენ, თუმცა მას არა აქვს ინტენსიური ხასიათი. სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ (მაგ: მე-9 კლ, მე-11 კლ, მე-3 კლ.) მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება კი მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში. ის უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. სასურველია სამივე საფეხურზე გამოიყენოთ: ilსკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები, პროგრამა Geogebra , desmos და სხვა.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით: ინფრასტრუქტურით და სპორტული ინვენტარით. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის ისევე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, ინტერნეტრესურსს სხვადასხვა საიტებიდან და პრეზენტაციებს სხვადასხვა თემაზე. ასევე დამხმარე ელექტრონული რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება III-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, პლაკატები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი გაითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას სამივე საფეხურზე. ამ ეტაპზე არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეებიც და შესაბამისად არ იყენებენ ისგ-ებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გარკვეულწილად გამოჩნდა თუ რამდენად შეუძლია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლა აქცენტირდეს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლია შეცვალონ შუალედური მიზნები და მოახდინონ შემოქმედებითი დავალების მოდიფიცირება, სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე და ამ ეტაპზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ შეუქმნიათ. ინტერვიუს დროს ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ მათი მთავარი მიზანი ყველა მოსწავლის მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაა, ამას კი სხვადასხვა აქტივობების, მოდიფიცირებული რესურსებით და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით ახდენენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. გათვალისწინებულია დიფერენცირებული აქტივობები მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ესთეტიკური აღზრდა	სწავლების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. მასწავლებლები დაკვირვებისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლეთა მზაობის დადგენას. წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები, რომლებიც შედგენილია განსხვავებული, მრავალფეროვანი დავალებებით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, ესე, პრაქტიკული სამუშაო და ა.შ. აქედან გამომდინარე მოსწავლეებს მიეწოდებათ სხვადასხვა სირთულის მასალა/დავალებები, რაც საშუალებას აძლევს მათ შეასრულონ დავალებები მათი შესაძლებლობების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს ასარჩევად, ასევე მოსწავლეებს საშუალება აქვთ დავალებები წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმატში. პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	საგნობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ძირითადად შემოქმედებითი / კომპლექსური დავალებების პირობებში, კრიტერიუმები და აქტივობები ეტაპებადაა გაერილი და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი. პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ

	ინდივიდუალურ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგმაც საუბრისას აღნიშნა, რომ ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეთ დიფერენცირებული მიდგომები. თუმცა როგორც აღნიშნა გასაუბრებისას, საგანში არაა სსსმ მოსწავლე და არ უხდებათ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. შესაძლებლობების ფარგლებში ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრაზე მოქმედებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებათ მიღწევების ამაღლებაში. გასაუბრების დროს აღნიშნეს რომ ძალიან ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის წარმატების ხარისხში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ეყრდნობა ზოგადი განათლების კანონს და ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს შეფასების სისტემა და შეფასების განხორციელების წესი. გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს კანონით დადგენილი წესით. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იცნობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შემუშავებული აქვთ და იყენებენ სხვადასხვა სახის განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს. ეს მათეხმარება მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლებს ეხმარება გამოავლინონ მოსწავლის პოტენციალი და დაგეგმონ ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარების გზა. ასევე, აღსანიშნავია, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს. ეს განსაკუთრებით

	მნიშვნელოვანია ესთეტიკის კათედრაზე, ვინაიდან მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ხედვის გათვალისწინება. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა სამივე საფეხურზე შეადგინონ და გამოიყენონ კონკრეტული თემის, კონკრეტული გაკვეთილის შეფასების რუბრიკები. ეს დაეხმარება მათ სწავლების პროცესის უკეთ დანახვაში და შუალედური მიზნის მიღწევის შეფასებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ზოგადია და ძნელად იკითხება, თუ რა ფასდება ამა თუ იმ დავალებაში. **რჩევა**: სასურველია, სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკა გაკეთდეს ყველა კონკრეტული დავალებისთვის და დაეფუძნოს როგორც სტანდარტის ინდიკატორებს, ასევე- დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რათა მოსწავლისთვის ნათელი იყოს, რასაც სთხოვენ, იმას რომ უფასებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო, და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს. **რჩევა:** სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა

	აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
სპორტი	სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები, რომ აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, თუმცა შეფასების რუბრიკების საგნობრივ სტანდარტთან მეტად შესაბამისობის გამო მიეცა რჩევა პედაგოგს. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები იყოს მეტად მორგებულ საგნობრივ სტანდარტს, ისე რომ, აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას, კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად და კრიტერიუმები გამომდინარეობდეს იმ კონკრეტული თემის საკითხებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა

დაწყებითი საფეხური	შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნისას დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინება, რადგან რუბრიკა სწორედ ამ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრის ოქმები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალებები
პროექტები
ისგ
მოსწავლეთა ნამუშევრები
კომპლექსური დავალების დანართი
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული.
ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული გმულების ნუსხა.
შემოქმედებითი დავალების გარათები
პროექტი: „გეომეტრიული ქალაქი“

სკოლის თვითშეფასების კითხვარი
ფოტომასალა
სკოლის ვებგვერდი
ვიდეომასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე(მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგები სამივე საფეხურზე კურიკულუმების შესაბამისად ახდენენ სწავლებას. საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებაც ნებისმიერ დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმები გარკვეული მოდიფიცირების საჭიროებას ყოველთვის მოითხოვს და ხშირად ახორციელებენ კურიკულუმის გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას, რასაც უკვე მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში ასახავენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის მიმართულებით შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, რესურსები და ძალიან ბევრი შემოქმედებითი დავალებები. გაწერილი კურიკულუმები რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესის წარმართვისას. ინტერვიუზე მასწავლებლებმა ისაუბრეს კურიკულუმით გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებების მიმდინარეობის პროცესზე. გარდა ამისა, მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან შემოქმედებით დავალებებს, აწყობენ გამოფენებს. წარმოდგენილია დამადასტურებელი მასალა ფოტომასალის სახით. სკოლაში ხორციელდება ასევე ინტეგრირებული

	გაკვეთილები და პროექტები. ჩართული არიან სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა სახით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებითა და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და სკოლაში განხორციელებული პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ეს შესაბამისობა გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები: „პარკის დაგეგმარება“, „გეომეტრიული ფიგურები არქიტექტურაში“ და პროექტი: „გეომეტრიული ქალაქი“ შესაბამისი განმავითარებელი/განმსაზღვრელი რუბრიკებით, რომლებიც ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს – დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნამდე და მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ გაწერილია ის სასწავლო თემები პრაქტიკული და თეორიული მიმართულებით, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, თუმცა არის ისეთი პრაქტიკული მიმართულების თემები, რომელთა განხორციელებაც გაჭირდება ამ ეტაპზე სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურით და ინვენტარით. მაგალითად კალათბურთი და ფრენბურთი, რადგან დარბაზში არაა კალათბურთის ფარი და ფრენბურთის ბადე. სასწავლო პროცესისი წახალისების მიზნით, პედაგოგის თქმით, არაფორმალური განათლების მიმართულებით, ის დროდადრო სკოლის მოსწავლეებისთვის აწყობს გასვლით აქტივობებს მეზობელი სკოლაში და ახორციელებს სკოლებს შორის ფესტივალებს კურიკულუმით გაწერილი თემის მიხედვით. მაგალითად „მხიარული სტარტები“ თემაში მძლეოსნობის ელემენტები (დაწყებითი საფეხური) . **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების

	შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

შპს ,,სკოლა ეტალონი'' ეფექტიანად რეაგირებს წარმოქმნილ და შემხვედრ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. სკოლაში დანერგილია საჭიროებების დროული იდენტიფიცირების მექანიზმები, მათ შორის რეგულარული მონიტორინგი, პედაგოგთა დაკვირვება, მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზი და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაცია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფები ოპერატიულად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს სასწავლო პროცესში. მოქნილი რეაგირება გამოიხატება როგორც სწავლა-სწავლების სტრატეგიების ადაპტირებაში, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების, ინდივიდუალური მხარდაჭერისა და გამდიდრებული აქტივობების შეთავაზებაში. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის, განრიგისა და აქტივობების მოდიფიცირებაც. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა იყოს ადაპტირებადი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ეფექტიანად პასუხობდეს როგორც ინდივიდუალურ, ისე საერთო სასკოლო საჭიროებებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებაც. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება კომპონენტების მიხედვით. იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარებათ შეფასების სანდოობაში, გამჭვირვალეობასა და ვალიდურობაში. ხშირად ახდენენ

	განმავითარებელი შეფასების მიცემას, რაც ეხმარებათ მიღწევების ამაღლებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა გახადოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკებს აცნობს მოსწავლეებს და მშობლებს წინასწარ. კრიტერიუმებს შეიმუშავებს კათედრაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასების საშუალებებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკასა და ხელოვნებაში, რომლებიც გამოყენება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები იცნობენ შეფასების რუბრიკებს, შესაბამისად, შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე. შესაფასებელი დავალებებები ფორმულირებულია გასაგებად. გადმოგზავნილია ასევე შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც ასევე, ვალიდურია. სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი და მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ ვერიფიკაციის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე შეფასების რუბრიკები ეყრდნობოდეს სტანდარტის ინდიკატორებსა და თვითონ დავალების შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. მისი ვალიდობა დასტურდება იმით, რომ ის ზომავს– მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, (წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები) სანდოობა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასების შედეგები თანმიმდევრულია, გამჭვირვალობა მიიღწევა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების კომუნიკაციით, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიგონ შეფასების პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ შეფასების რუბრიკებს აცნობენ მოსწავლეებს, ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების ობიექტურობასაც. შეფასების სისტემის სამართლიანობა კი გამოიხატება მის ინკლუზიურობასა და დიფერენცირებულ მიდგომებში, წარმოგდენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი რუბრიკები; მოსწავლეების შემოქმედებითუ დავალების და შემაჯამებელი წერის ნიმუშები. შედეგების ანალიზი. ასევე, მოსწავლის თვითშეფასების ბარათები **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საშუალო საფეხურისთვის გადაიხედოს, რომ შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომელნიც შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და სანდო, ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მიუთითებს, რომ სკოლას ესმის ვერიფიკაციის მნიშვნელობა და მიზანი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართულნი არიან: დირექტორის მოადგილე შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი და/ან შემმოწმებელი მასწავლებელი (ვერიფიკატორი)

და საგნის მასწავლებელი. ვერიფიკაცია მოიცავს სამ ეტაპს: 1. შეფასების დაგეგმვა 2. შედეგების შეფასება 3. უკუკავშირის მიწოდება შემფასებლებისათვის. ვერიფიკაციას ექვემდებარება შემაჯამებელი დავალებები და სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული გამოცდები. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ასევე სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ.გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან და სხვა).შეფასების ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებათა ვერიფიკაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში მოქმედებს შეფასების დოკუმენტაციის მართვის რეგულირებული სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ელექტრონულ, ისე მატერიალურ (ბეჭდურ) ფორმატებს. ინახება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველი მონაცემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მასალები, ტესტები, პროექტები, პორტფოლიოები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაცია ორგანიზებულია სტრუქტურირებულად, დაცულია კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპები, ხოლო ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებისთვის. მონაცემთა რეგულარული განახლება და არქივირება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობასა და უწყვეტობას. მოქმედი პრაქტიკა იძლევა შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, სკოლამ უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების სწრაფი მოძიება, ანალიზი და გამოყენება როგორც შიდა შეფასების, ისე გარე მონიტორინგისა და ავტორიზაციის პროცესებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასების რუბრიკები;
შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები და ანალიზი;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
სკოლის თვითშეფასების კითხვარი
ფოტომასალა
სკოლის ვებგვერდი
ვიდეომასალები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმების მიხედვით ყველა თემას შეესაბამება ძირითადი და დამატებითი რესურსი. ესაა სახელმძღვანელო, ცდებისათვის საჭირო ნივთები და ელექტრონული რესურსები. ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი და დამხმარე რესურსები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ძირითად რესურსად წარმოდგენილი არის გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და

	მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელთა გამოყენებაც დაგეგმილია სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი რესურსი დაეხამრება მასწავლებელს მიაღწიოს დასახულ მიზანს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში თემების შესაბამისად გაწერილია და გამოიყენება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოს სახით. კათედრაზე ხდება იმ დამატებითი რესურსების შერჩევა, რასაც გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. მასწავლებლები დამხმარე რესურსის სახით იყენებენ ელექტრონულ რესურსებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულად მუსიკის გაკვეთილების დროს, თემის შესაბამისად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსს, როგორცაა: მოსასმენი მასალა, ინტერნეტრესურსები, ასევე ტელესკოლის ჩანაწერები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით, უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების, რომლებიც კოლაბორაციაშია

	სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე გამოიყენება დამხმარე საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება. ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. თუმცა ეს ყველა თემასთან მიმართებით არ ჩანს. **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე გაამდიდროთ დამხმარე რესურსთა სია. მაგ: მე-3 კლ, მე-9 კლ, მე-11 კლასებში რესურსებში მხოლოდ სახელმძღვანელოებია მითითებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: მატერიალურს რესურსს - არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, ძირითად რესურსს- გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, პრეზენტაციებს თეორიისათვის და დამხმარე ინტერნეტ რესურსს- ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებითა და ვარჯიშების ტექნიკის ელემეტებით. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის იყოს მრავალფეროვანი და საინტერესო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ლაბორატორია) რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად მიზნობრივად იყენებენ მათ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმებით განსაზღვრულ სკოლაში არსებულ ყველა რესურსს იყენებენ მიზნობრივად, აქვთ ინტერნეტი და აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებსა და სიმულაციებს, იყენებენ ლაბორატორიას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების სისტემურ ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

ესთეტიკური აღზრდა	ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის სხდომაზე. სხდომის ოქმებში ასახულია,რომ დამხმარე რესურსების ვალიდაცია რეალურად ხდება სასწავლო წლის დაწყებამდე და ერთ–ერთ საკითხად არის განხილული კათედრის სხდომაზე. კურიკულუმებში გარდა ძირითადი რესურსისა, თემების შესაბამისად გაწერილია დამატებითი დამხმარე რესურსებიც, მათ შორის ელექტრონულიც. ელექტრონული რესურსები მიწოდებული აქვთ სამინისტროს მიერ და იგულისხმება, რომ ვალიდურია. ასევე, იყენებენ სხვა ინტერნეტრესურსებსა და ტელესკოლის ჩანაწერებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში კათედრაზე შეთანხმებული და დადგენილი რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, ონლაინრესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურზე მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ რესურსების შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. სასურველია ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენებთ სწავლებაში, გულდასმით შემოწმდეს. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი შესაბამისობა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე

	ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარერე სურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება რესურსების ესგ-ისთან შესაბამისობა, მოწმდება ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე ორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და აშ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქვთ ლაბორატორია, სადაც განთავსებულია ბიოლოგიის ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყოები და რესურსები. იყენებენ სხვადასხვა ელექტროსიმულაციებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ელექტორნულ და მატერიალურ რესურსებს, პოსტერებს, ბროშურებს, აუდიო და ვიდეო მასალას და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა რესურსი, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული. მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მასალა: გრიფირებული სახელმძღვანელოები, მოსასმენი მასალები. ვინაიდან ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები იყენებენ დამხმარე ელექტრონულ რესურსებს, მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა რაოდენობა შეესაბამება ნორმებს და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითხავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
მათემატიკა	სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **რჩევა:** სასურველია, სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყოს ისე, რომ მოსწავლეებისათვის სპორტის გაკვეთილები გახდეს უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული

	ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლატფორმები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. სკოლას აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რაც დასტურდება მათი სტატუსით და ასევე წარმოდგენილი მტკიცებულებების საშუალებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულიმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრის სხდომის ოქმები
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალებები
პროექტები
ისგ

მოსწავლეთა ნამუშევრები

კომპლექსური დავალების დანართი
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული.
ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული გმულების ნუსხა.
ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი: Khan Academy-ის გაკვეთილები და ტესტები.
ტელესკოლის გაკვეთილები
გრიფირებული სახელმძღვანელოების სია
საათობრივი ბადე
სკოლის თვითშეფასების კითხვარი
ფოტომასალა
სკოლის ვებგვერდი
ვიდეომასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

დოკუმენტში ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია" მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესებზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქცია-მოვალეობები. მონიტორინგი მიმართულია იმის დადგენისკენ, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, ხოლო შეფასება განსაზღვრავს, რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები სასურველი შედეგების მიღწევას. კურიკულუმის განვითარება მოიცავს შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და შეფასების, ასევე გადასინჯვისა და რევიზიის ფაზებს, სადაც მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს დანერგვის ეტაპის განუყოფელ ნაწილს. პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელი პირები: მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის აღწერასა და კოლეგებისთვის გაზიარებას, რაც ხელს უწყობს მონაცემთა ბაზის განახლებას, ასევე აქტიურად მონაწილეობს კათედრის სხდომებზე სასწავლო პროცესის ანალიზში და ითვალისწინებს რეკომენდაციებს; კათედრის თავმჯდომარე აგროვებს პედაგოგების მიერ მოწოდებულ მასალებს, ორგანიზებას უწევს კათედრის შეხვედრებს, სადაც ხდება არსებული გამოწვევების განხილვა და ინოვაციების დანერგვა, ამასთან, წარმოადგენს საკომუნიკაციო რგოლს დირექციასა და პედაგოგებს შორის; დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს კათედრებიდან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას, ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს სასწავლო პროცესის განხილვის მიზნით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრობლემების გადასაჭრელად, ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და კურიკულუმის რეგულარულ განახლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგის ფარგლებში იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევები, ხოლო შეფასების ეტაპზე ხდება მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შედეგებზე ზემოქმედების განსაზღვრა. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და მოქმედების გეგმებს, რომლებიც მიმართულია როგორც სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისკენ, ასევე მოსწავლეთა შედეგების ამაღლებისკენ. პრობლემების გადაჭრის მექანიზმები მოიცავს სწავლების სტრატეგიების მოდიფიცირებას, დამატებითი რესურსების მობილიზებას, ინდივიდუალური მხარდაჭერის გაძლიერებას და პედაგოგთა პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული პროცესები ხორციელდება კათედრების, ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კოორდინირებული თანამშრომლობით. ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები იყოს პრაქტიკულად გამოყენებადი, დროული და ეფექტიანი, რაც ხელს უწყობს გამოვლენილი პრობლემების სისტემურ და შედეგზე ორიენტირებულ გადაჭრას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება, როგორც კურიკულუმის განვითარების პროცესის ნაწილი, ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ეს პროცესი მრავალ დონეზე ხორციელდება და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. მონიტორინგის პროცესი მასწავლებლებს აძლევს საშუალებას, გააანალიზონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. კათედრის სხდომებზე ხდება პრობლემური საკითხების შესწავლა, ინოვაციების დანერგვა და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება. კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და შემუშავდება რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად, ეს კი ეხმარება მასწავლებლებს, გააანალიზონ და შეაფასონ სასწავლო პროცესი და იმსჯელონ, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
კათედრის სხდომის ოქმები
დირექტორის მოადგილის ანგარიში
სამუშაო შეხვედრების ოქმები
სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
კათედრის დებულება
კითხვარების და მონიტორინგის ჩეკლისტები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს ობიექტურ, სრულყოფილ და სანდო შედეგებს. შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემით, არამედ მოიცავს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს, მათ შორის: მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამსახველ ნამუშევრებს, ტესტებისა და დავალებების შედეგებს, პროექტებს, პორტფოლიოებს, დაკვირვების ჩანაწერებსა და პედაგოგთა პროფესიულ ანალიზს. დამატებით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსურ შეფასებას, ასევე სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სიზუსტეს, სამართლიანობასა და შედეგების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესის განვითარებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალიკონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს (ცოდნის დონე, უნარები, სწავლის ტემპი), ისე სასწავლო გარემოს, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და საგნობრივ სპეციფიკას. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო მიზნები, სასწავლო სტანდარტები და კონკრეტული აქტივობების მიზნობრიობა. მრავალკონტექსტური მიდგომა იძლევა შესაძლებლობას, შეფასება არ იყოს ერთგანზომილებიანი, არამედ ასახავდეს

მოსწავლის განვითარების დინამიკას სხვადასხვა პირობებში. ეს ხელს უწყობს უფრო ზუსტ ანალიზს, ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან გაუმჯობესებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ შეფასება იყოს მოქნილი, ობიექტური და მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტისა და ფორმატის გამოყენებით, მათ შორის: წერითი და ზეპირი დავალებები, ტესტირება, პროექტული და კვლევითი საქმიანობა, პორტფოლიოები, დაკვირვება, თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. აღნიშნული მეთოდები იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოსწავლეთა ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები სხვადასხვა აქტივობასა და გარემოში. მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი ან ერთმხრივი, არამედ ასახავდეს მოსწავლის განვითარების პროცესს დინამიკაში. ამასთანავე, მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური პროგრესის გასაანალიზებლად, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მოსწავლეთა საბოლოო აკადემიურ შედეგებს, არამედ მათი განვითარების დინამიკას, ინდივიდუალურ პროგრესს, წინარე ცოდნასა და უნარების ფორმირების პროცესს. პარალელურად, გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტები, სასწავლო მიზნების შესაბამისობა, დავალებების შინაარსობრივი და კოგნიტური სირთულე, ასევე შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა.
მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კონტექსტუალურ ფაქტორებსაც, მათ შორის სასწავლო გარემოს, მოსწავლის სოციალურ და ემოციურ მდგომარეობას, ჩართულობის ხარისხსა და სასწავლო პროცესში გამოვლენილ აქტივობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთჯერადი და ფორმალური აქტივობა, არამედ წარმოადგენდეს უწყვეტ, მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც ასახავს მოსწავლის სრულყოფილ სურათს.

მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სასწავლო გზის დაგეგმვისთვის, ისე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და ადაპტირებისთვის. შედეგად, შეფასება იქცევა არა მხოლოდ შედეგის ფიქსირების ინსტრუმენტად, არამედ განვითარების ხელშემწყობ ეფექტიან მექანიზმად, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა
კათედრის ოქმები
განმავითარებელი და განმსაზღვრელიშეფასების რუბრიკები
შემოქმედებითი დავალებები
პროექტები
ისგ
მოსწავლეთა ნამუშევრები
კომპლექსური დავალების დანართი
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული.
ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების დაელექტრონული ბმულების ნუსხა.
შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება	☐არ შეესაბამება	☐არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე მოხდა მასწავლებლების მიერ გასული სასწავლო წლის კურიკულუმის რევიზია და გადასინჯვა, შედეგებს კი ითვალისწინებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას, ე.ი. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, წელს პირველად არ შეუქმნიათ კურიკულუმი და წინა წლებში ამის გამოცდილება ჰქონდათ. გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდინონ კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, შედეგად გადამუშავებულ ვერსიას გაუზიარებენ სასკოლო საზოგადოებას. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად ჩაერთვება არა მხოლოდ ის მასწავლებელი, რომელიც ახორციელებდა ან უნდა განახორციელოს კონკრეტული კურიკულუმი, არამედ საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი და სასკოლო საზოგადოების ყველა ის წევრი ვისაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
კათედრის სხდომის ოქმები
დირექტორის მოადგილის ანგარიში
სამუშაო შეხვედრების ოქმები
სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
კათედრის დებულება
კითხვარების და მონიტორინგის ჩეკლისტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება	☐არშეესაბამება	☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 09/06/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: